



ონის მუნიციპალიტეტის მერია

ონის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება

ქ. ონი



N 37
13/01/2020

37-02-4-202001131758



ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში (ღარი, გლოლა, გომი, წედისი, ქვედი, ირი) დაზარალებული მოსახლეობისათვის ზამთრის პერიოდში გათბობის უზრუნველყოფის მიზნით თანხის ჩარიცხვის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის 3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების დაზარალებული მოსახლეობისათვის ზამთრის პერიოდში გათბობის უზრუნველყოფის მიზნით“ საქართველოს მთავრობის 23.12.2019 წლის N2682 განკარგულების თანახმად, ვბრძანებ:

1. ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში (ღარი, გლოლა, გომი, წედისი, ქვედი, ირი) დაზარალებული მოსახლეობისათვის- 274 ოჯახზე ზამთრის პერიოდში გათბობის უზრუნველყოფის მიზნით გაიცეს თანხა თითოეულზე 200 (ორასი) ლარი დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ემზარ საბანაძე

მუნიციპალიტეტის მერი

